



02.03.2015

## სააპელაციო სასამართლომ საყდრისის საკითხზე RMG GOLD-ის სარჩელი არ დააკმაყოფილა

ახალი ამბები



დათო ფარულავა

შეუერთდი განხილვას

თბილისის სააპელაციო სასამართლომ კომპანია RMG GOLD-ის, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსა და საქართველოს მთავრობის სარჩელი არ დააკმაყოფილა. ამის შესახებ სასამართლოდან „ლიბერალის“ კორესპონდენტი იტყობინება.

ისინი საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რომელმაც „მწვანე ალტერნატივისა“ და მოქალაქე დავით სახვაძის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ გაბათილდა კულტურის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის ბრძანება, საყდრისისთვის უძრავი ძეგლის სტატუსის მოხსნის თაობაზე. უწყებას დაევალა, თავიდან განეხილა სტატუსის საკითხი კანონმდებლობის შესაბამისად.

„დღეს პროცესს არ დაესწრო არც კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი, არც მთავრობის. თავიდანვე იცოდნენ, რომ წააგებდნენ. ისინი არ დაელოდნენ სასამართლოს და ააფეთქეს საყდრისი. ეს იგივეა, რომ დახვრეტილ ადამიანს გამოუტანო განაჩენი. ვფიქრობ, სასამართლო ოქროზე მაღლა დადგა და სწორი გადაწყვეტილება მიიღო“, - უთხრა „ლიბერალს“ საყდრისის გადარჩენის კომიტეტის წევრმა, ირაკლი მამალაძემ.

„არ ვიცი, ძეგლი რამდენად არის დაზიანებული და არ ვიცი, რამდენად არის დარჩენილი ღირებული ნაწილები. თუ დარჩა, მაშინ ბრძოლას აქვს აზრი“, - ამბობს „მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე.



Add a comment...

Also post on Facebook

Posting as **Natalia Ksovreli** ▾

**Comment**

Facebook social plugin

**Silk LTE**  
ინტერნეტ მოდემი უფასოდ!  
სახლში მითანის სერვისი  
☎ 2 100 100

**GIPA**  
in his eyes yours  
**ბიზნის**  
**პროექტირება**  
საბაკალავრო კონსტრუქცია

